სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 175

ქ. თბილისი 15 დეკემბერი 2017წ.

დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტების დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 6 ოქტომბრის N178/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების ადმინისტრირების, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის, ნატალია გვერდწითელის, სამსახურებრივი ბარათის (N1496807, 07.12.2017წ.) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს დოქტორანტურის ერთობლივი, სტრუქტურირებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისათვის სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და გერმანიის ფოლკსვაგენის ფონდის ერთობლივი საგრანტო კონკურსის შედეგად გამარჯვებული პროექტები:
   ა) N 93567 - "მდგრადი სოფლის მეურნეობისა და სასურსათო სისტემები (მსმსს) სტრუქტურული სადოქტორო პროგრამა";
   ბ) **N 93581 -** "საერთაშორისო სადოქტორო პროგრამა მათემატიკაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში";
   გ) N 93562 - "რეგიონალური სადოქტორო პროგრამა თეორიულ ფიზიკასა და ნაწილაკების ექსპერიმენტულ ფიზიკაში";

დ) N 93569 - "სტრუქტურირებული განათლება - ხარისხის უზრუნველყოფა - აზროვნების თავისუფლება".

2. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტის ავტორებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2015 წლის 28 დეკემბრისა;
3. საგრანტო ხელშეკრულების გასაფორმებლად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულმა პირებმა არაუგვიანეს 2015 წლის 22 დეკემბრისა ფონდში წარმოადგინონ პროექტისთვის გახსნილი საბანკო/სახაზინო ანგარიშის ნომერი, რომელზეც მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა.
4. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
5. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

შემსრულებელი:
იურიდიული და ადმინისტრციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მარიამ იაშვილი _____

შეთანხმებულია:

იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე ბუთლიაშვილი

სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის,
შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე კლდიაშვილი